

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2015 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი 18/08/2014) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ „ადმინისტრაციულ სამსახურის“ „ტექნიკურ პერსონალს“ დაემატოს „გამგებლის მძღოლის“ 1, „გამგეობის მძღოლის“ 2 საშტატო ერთეული და სამსახურის რიცხოვნობა განისაზღვროს 18 საშტატო ერთეულით;

ადმინისტრაციული სამსახური		18
ტექნიკური პერსონალი		
მდივანი		1
დამხმარე მოსამსახურე		1
გამგებლის მძღოლი		1
გამგეობის მძღოლი		2

ბ) დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების“ მე-5 პუნქტი (ტექნიკური პერსონალი) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

5	ტექნიკური პერსონალი	
5.1	მდივანი	620
5.2	დამხმარე მოსამსახურე	600
5.3	გამგებლის მძღოლი	680
5.4	გამგეობის მძღოლი	600

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე